საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№168/30

2022 წელი, 5 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/138; 08.12.2021) საქართველოს კანონის პროექტების განხილვის ვადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2022 წლის 7 სექტემბრიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი